

# საქართველო

სურათების წევა

დაასახის წევა

კვირა, 25 ოქტომბერი 1915 წ.

## გულის პარდეს—

ვარდო გულისა, ხომ მიხვდი ეხლა?  
მოგიალერსეს, მოყვრად მიიღე დ წმიდა  
გული გადაუშალე, პირმოთნეობის ქე-  
ლი გაჭიმეს, მოსიყვარულე წინასწარ  
გრძნობას არ დაუჯერე, და შიგ გაები.

ვარდო გულისა, ხომ მიხვდი ეხლა?  
თვალნი აგიბეს, მიგაყუჩეს, ყურა საყუ-  
რენი მოციმციმენი ჩამოგაგლიჯეს, ყელს  
მარგალიტის მძივნი შემოგხსნეს, ლალის  
ლილები გულს აგაფიტეს, ფეხთ ოქ-  
როს ქაშნი დაგაყრევინეს და მზისაფერ-  
ნი სამაჯურნი შემოგაგლიჯეს.

ვარდო გულისა, ხომ მიხვდი ეხლა?  
შავნი ნაწავნი დაგიშალეს, შემოგაკეცეს  
და სველი ხავსი დაგაფარეს. ბროლისა-  
მკერდზე საზარელი ჯოჯო დაგასვეს და  
შენ ძუძუებს გველის წიწილნი შემო-  
ახვიეს.

ვარდო გულისა, ხომ მიხვდი ეხლა?  
ჭიალუა ტანს დაგახვიეს, მევდარს და-  
გამსგავსეს. რალას და ელა? რას გარინ-  
დულხარ? ხმა ამრიღე, ალიმალლე, ჭიალუა  
გადმოიტერტყა, გულიდან ჯოჯო მო-  
იშორე და ქვას ანარცხე, წყეულის შვი-  
ლებს თავი უჭერეს, აიაზმითა განიბანე  
და სიყვარულით ალსავსე გულსა ჩაეკო-  
ნე.

ინ—ბანი.



ტყვედ წაყვანილი

პრაპორჩიკი მძინარაშვილი

## გულის არ ვიტე!

მიდის, მიდის გაზაფხული, სჭირება ვარდი, სჭირება მდელო  
მაინც იმედს არა ჰერგავს ჩვენი ტურფა საქართველო.  
მიდის მიდის გაზაფხული, და თან მიაქვს სიხარული.  
სხვა სიამეს უნდა შევდეს ჩვენი გული, ჩვენი სული...  
ჰქედავთ, ბერმა შემოდგომამ დაადარდა მთლად გარემო,  
ვიცი, ვიცი, კადევ გნახავ, აყვავებულს ტურფავ ჩემო?..  
თუმც ჩვენს ირგვლივ ფეხს იკიდებს ცივი ყინვა დ ზამთარი!..  
ისევ მოვა! ისევ მოვა ჩვენთვის ნაზი და ნარნარი!

ლეგა.

## ქალი გრძნეული

სანდო განვითარებისა

პირველ ორი სურათის მოკლე  
შინაარის.

სცხოვრობდნენ სამი: ჰანგო—  
მეოსანი, გმირო—რაინდი და ბრძენო—  
განდეგილი და კანონმდებლი. ჰანგომ  
გაიგო, ცხრა მთას იქით ბროლის კოშკში  
მზეთ-უნახავი, სახელად ძნეო, სცხოვ-  
რობს და მოისურვა მასთან წასელა,  
მაგრამ ძმებმა არ უჩიის, რადგან იცო-  
დნენ, ვინც იმ ქალის კოშკში შევიდო-  
და, უკან ველარ ბრუნდებოდა. ქალის  
ერთი ამბორით სიამესთან ერთად მნა-  
ხელი სოფელს ეთხოვებოდა. ჰანგომ  
თავისი მაინც არ დაიშალა, მეტის სურ-  
ვილით ავად გახდა. ძმებმა ჩასეს ხო-  
მალდში და წაიყვანეს საძენელად. ხმე-  
ლეთზე ჯვერედინი გზა დაპირდათ და  
ძმები სამს მხარეს წაიღინენ. პირველად  
ქალი ნახა ჰანგო. შემდეგ კოშკს მიად-  
გა გმირო. ქალი გმიროსაც შეუყვარდება. ქალმა იძიულა გმირო, რათა მას ჰანგოს-  
თვის თავი მოეკეთნა, წინააღმდეგ შემ-  
თვევაში ალერს ვერ ელირებოდა. სულიერ ბროლის შემდეგ გმირო ჰელავს  
თვის მას. მოდის მესამე ძმა ბრძენო.

ბრძენო. (ზავებში შემოსილი. 8 მხდა-

რია. ჸალ-რა შერთული წევრ-ულვაში  
მკერდზე სცემს. წელზე უბრალო თოკი  
აქვს შემოჭირებული. ხელში კვერთი უკი-  
რას. ფეხს ქალ-მნები აცვია. თავზე ზავი  
შედი ჰერავს. ჩაცვინულ თვა-  
ლებიდან დიდი ნების სიძლიერე გამოს-  
ტვილის. ძნეო მიესალმება, მაგრამ იზი ცი-  
ვად შეპარდავს. ქალი ერთხანდ შეკრთხება.  
ოდეს დაინახას ჰანგოს მოკეთილ თავს  
და გმიროს განწირულს, კვერთი ხელი-  
დან გაჭვ რდება და მწარე იხვრა ამოქ-  
ლება. ისმის მოზარული, მწყობრი მუსიკა.

ბრძენო. დედაკაცო! დედაკაცო!

მიგხელი ყველა შევიცანი!  
შენ, გრძნეულსა დაგილუპავს  
საყვარელი ჩემინი მანი!  
ვაი, რატომ გზად არ მოვკედი,  
რად არ ვპოვე შორს სამარე!  
იქვე მიწამ რად არ ჩაგნოთა,  
როს დავსტუვეთ ჩვენი მხარე?  
თუ აქ უნდა ეს მენახა,  
დამეფურქვია ცრემლი ცხარე?  
ვაი, მანი! რად არ გესმით  
თუ რა გლოვას გადევყარე?  
ჩემო ჰანგო! ეგრე ნორჩი  
ამ სოფლიდან განიწირე;  
თან წარილე საიდუმლო  
და საუნჯე განა მცირე?

კვლავ ერს სული ვინ აღუნთოს,

სხივი ვინდა მოაფინოს?

ხეთაებრივად ვინ გვიმღეროს,

და მაშვრალი ვინ აღინიოს?

ჰანგო! მშობელს რა უმბო?

ნუ თუ ძაბა გადიფინოს?

ზენი ხმა თუ მოენატროს,

მან, საბრალომ ვერ ისმინოს?

გმირო! ან შენ რალას მეტყვი?

დამხმამილხარ უძლეველი!

მტერს პასუხი ვიღომ გასცეს,

ვინ დაიცას ჩვენი ვალი?

აწ რომელმა უდარაჯოს,

ვინ აღვინჩდეს კიდევ მხსნელი?

ხმო მამული სხვადას დაიკურო,

უცხო თესლმა ინავარდა?

რაც დიღება მანიჭე,

ხმო უმალ ის განუქარდა?

ხმო მოესპონ სიამტკბილე,

ბალლამ-შხამით ჩიუმჭარდა?

მონდა და სიძუბირე

ერთხელ შვებელს დაუმყარდა?

გმირო! მშობელს რა უამბო,

როს თვის ახლოს ველარ გნახოს?

დასჯდეს იგი მგლოვიარე,

ცრემლის ფრქვევეთ ივაგლახოს?

ძმანო ჩემნო! ჰანგო! გმირო!

ხმა გამეცით ერთხელ კიდე!

რად ვერა გრძნობთ, რომ ჩემს გულსა

გადევთარა გლოვის რიდ.

რატომ არას მიპასუხებთ?

ტკბილნო ძმანო! ვო ძმანო!

ახ, მითხარით, ჩემს სამშობლოს

რა პასუხი მიუტანო?

ნუ თუ თქვენთვის მომტირალი

ერმა ჩემმა მხოლოდ მხახოს?

ვაი, ძმანო! კვლავ თვის მსნელად

თქვენი თავი ველარ სახოს?

სულისათვის საყვარელნო,

სულისათვის ტქმილნო ძმანო!

ო, მითხარით, ხმა გამეციო!

რა ამბავი მივიტანო!?

ძნ ე მ.

ბრძენო! ბრძენო! რად არ გეყო

ჩივილი და ცრემლის ფრქვევა?

გული ზენი მოიბრუნო,

ეს იქმნება დიდი ძლევა!

მოვედ ჩემთან! ჩემს დაბრაზში

სული შვებით შეირჩევა;

სიხარული, სიყვარული

და სურნელი დაიკმევა!

ბრძენო.

რას ერჩოდი ჩემს ორ ძმასა,

რად გასწირე, ქალო, შხამიო?

აბა, ერთი გაღმოპხედე,

არ იცხები განა ბრალით?

ზენ მიეცი მათ სიცოცხლე,

ზენ შთაუდგი განა სული,

რომ ამ სოფელს დააშორე

შენგნ ულვთოდ მოშხამული?

დედაკაცო, გამეცალე!

დედაკაცო, იყავ კრული!

ძნ ე მ.

მიკირს, ბრძენო, ასე მსჯელობა,

ბრაზით გხედავ მომზირილსა

განა მე ვარ დამნაშავე,

რომ ჩემს კისერს ადებ ბრალის?

განა მაგათ თეისის ნებით

არ გასწირეს ჩემთვის თავი?

განა მაგათ მე ვარ გულიდღი,



ლუკაშვილი. ღმერთო ჩემო რასა ვხედავ! შველა უნდა, შველა!  
ვაგონებო სადა ხართ?



თუ ვაგონები ჩემთან არ  
მოდიან, მე თითონ წა-  
ვალ მათთან. მირბის ...

მიჰეო...

უკვე ეკატერინო-  
დარში.

რას ჩაუშვეს ზღვაში ნაი?  
რას გადმოვლეს მთადა და ბარი,  
ან ტყე შავად სანახავი?  
რად მელტოლენენ? თუ მელტოლენენ,  
რალად მესმის საყველური?  
დედოფალს ვინ მასამართდებს,  
ანუ ვისგან ვიძლვნა შური?

#### ბრძენო.

შენ რომ სიტყვა არა გქონდეს,  
არ ჰემარობდე მასვე ფარად,  
მაშ როგორდა დაგეფარა  
შენი გესლი ჩემნოვის მარად?  
ისე ნათელ იქნებოდი,  
სულისათვის შესაზარად;  
მაშინ კველა განგერეტავდა,  
რაც ხარ, ქალო, იმ არარად.  
ვაგლაბ, ენა მოუბარი  
ასე ტებილად, ასე წყარად,  
რაოდენსა ბოროტებას  
ალამაზებს ჩემნოვის მარად!

#### ძ ნ ე ო.

ჩემზე მსჯელობ მაგრე მკვეთრად  
და, გვინია, სთვეი მართალი?  
სცდები, ბრძენო! სათანადოდ  
ვერ გიცენია, ვხედავ, ქალი!  
ვინ არის რომ ყრმას სულს უზნებს,  
აცისუროენებს სიყვარულით?  
და უბრალოს ჰედის რჩეულად  
აუროვანებს სიხარულით?  
ვინ ამლერებს მგლასანს გრძნობით,  
ვინ ჰემის ხოლმე უკვდავ სახელს?  
განა ვისის შემწეობით  
მიელტვიან მარად ნათელს?

როს შეეზარი იმში მიღის  
და მტერთაგან ილებს წყლულებს,  
ვინ ჰედის დაკრილს შეუპორად,  
ვისხე ფიქრი ასულდებულებს?  
მიოხარ, ვისის გამნევებით  
მებრძოლთ ხელში მკვეთრობს ხმალი?  
ბრძენო! ბრძენო, მეტყვი რომ არ  
ყოფილიყოს იგი ქალი?  
ანუ მითხარ, დამაშერალი  
ვისგან ილებს მოსვენებას?  
ვინ უშადებს სიხარულსა,  
ვინ ანიჭებს ანუ შვებას?  
ან შენ თვითონ როდის იგრძენ  
სულში ძალა იდუმალი?  
როდის აქეთ არის იგი

როდის აქეთ ეძებს იგი  
ცხოვრებისა ამოცანას?  
მითხარ, ვისის მოხერხებით  
ზე დასცერი ამ ქვეყანას?  
ვინ ალგიგზნო პირველ ცეცხლი,  
ვინ ალგიგზნო გრძნობის ალი?  
ბრძენო! ბრძენო! მეტყვი რომ არ  
ყოფილიყოს იგი ქალი?

#### ბრძენო.

მერე რაო? დიახ, ქალი!  
მაგრამ არ ხარ შენ იმ გვარი,  
რომელს ახლავს ეგ ლირსება  
ყველისათვის სანუკვარა!  
ის სხვა არის! შენ კი მხოლოდ  
სწორ სიცოცხლეს შეუბრალი;  
შენ კი მხოლოდ შურსა სთესავ  
და სიძლვილს სოფლის ველად.  
მოლალატედ ჰქმი ერთგულსა  
და ლვილ ძმასა ძმისა მკვლელად.  
ჰქმდავ, სისხლით ვით შესვრილა  
შენი ხელი, შენი სახე,  
ცოდების ბუდე შენში არის  
და სიკვდილის ბნელი მახე!

#### ძ ნ ე ო.

მაშ სადლაა სიტქბოება?  
ვის სულში სჩექფს ნექტრის წყარო?  
ვის ნაკვებში იხატება  
მშვენივრება სანეტარო?

#### ბრძენო.

ზერობრივად უხრწნელ ქალში,  
ვინ ოჯახის არის კერა;  
ვინ შენსავით არ აგხორცობს,  
გრძნობა უინით არ დატერა.  
ვინ შენსავით არ მეხობს,  
ერთი სატრფო შეითერა.  
შენ კი ერთს რომ დღეს შექარი,  
ხვალ სხვისთვის გაქვს გულის ძერა!

#### ძ ნ ე ო.

მე რომ ახალს ვეტრფი მუდამ,  
ამას უხმობ უზნებას?  
მიკეირს შენგან, შენის ენით  
რომ მოვისმერ ესრეთ ბრძნობას!  
გადაპხედე თვით ბუნების  
როულ წესსა თუ იღნაგობას —  
იქ სად წანახავ, რომე ერთი  
მეორესა შეაბერდეს?  
განგებისგან მზეც კი სხივსა  
ისე უნდა მოატენდეს,

სახით განაყოფიერდეს!  
იქ არ არის სამუდამო  
მიჯნური და სატრფო არსი!  
ბრძენო. (ეწყვეტინებს. მკვეთრად)  
მაგრამ არის სამუდამო  
სიცოცხლე და შინაარსი!  
და შენ სწორედ ეს გაკლია!  
ამხობ მხოლოდ, რას აშენებ?  
როსკიპ სხეულს საწამლავად  
აკეპლუცებ და ამშენებ!  
და როს ქალი, შენებრ ტურფა,  
ამეტყველებს მხოლოდ ვნებას,  
როს მართიოდენ უინში ჰქმდავს  
სიამეს და ალტაცებას,—  
იგი ტურფა ძალა არის  
დამამხობი დამღლუცელი!  
წამბილწველი ოჯახისა  
მოღმის გადამგვარებელი!

#### ძ ნ ე ო.

რა ვქნა მე, თუ ამა ქვეყნად  
აგრე ტურფა დავიბადე?  
რა ვქნა მე, თუ მომელტვიან,  
მამაკაცთა ვიქმენ ბადე?  
რა ვქნა მე, თუ კეპლუცი ვარ  
და მშვენებით ესდენ სრული  
რომ არავინ არა ნაღვლობს  
იყოს ჩემგან გაისრული!


#### ბრძენო.

რა ჰქნა შენ, რომ კეპლუცი ხარ?  
რა ჰქნა შენ, რომ მოგელტვიან?  
ეგრე შენს თავს დაეკითხე —  
სხვანი სხვათ ვით შეეტრფიან?  
მერე მაგ შენს სიკეპლუცეს,  
ერთი მითხარ, როგორ ჰემარობ?  
განა მუდმივს ჰქმი რამესა  
და ამ ჰქმის დროს გულით ჰემარობ?  
შენში ვანა ის მეტყველობს,  
ვის უწოდებთ დედა-მშობელს?  
ვის ნაყოფსაც ერი იმკის,  
ვინ ჰქმენს მაღლა ჩაუქრობელს?  
ვისი ნანაც სამღვთოდ ისმის,  
აცისკროვნებს ამით სოფელს?  
ვისი ძუძუც ზრდის კრმა-შეილთა,  
გზას გვინათებს ლამპრის დარად?  
ვინც ჩენ ასე სულს გვიმაღლებს,  
ჰყოფს ოჯახისა დაუმჭენარად?  
შენ რას აძლევ შთამომავლს?  
ფუძეს უნგრევ, უქმი არად!

შენს სიტურფეს ავად ჰემარობ!  
როს იმსხევებლებ გინმე მიჯნურს,  
ბნელის სულით მაშინ ჰემარობ!  
ძ ნ ე ო.  
სულიც ეგრევ სპეტაკი მაქვს,  
ვით ეს ჩემი გარეგნობა!  
ბრძენო.

ეგ ვინ გითხრა? იქნებ ჰანგომ,  
ოდეს იწყო შენგან თრობა?  
იქნებ ჰანგომ რამ გიმლერა,  
როს აქ გექმნა მოახლებით?  
და შენ, სადა, გაგამეროთა,  
შენ აღსავე მხოლოდ ვნებით?  
მაშ იცოდე, ის სცდებოდა,  
რადგან სულის თვის ხატებას,  
თვის საუნჯეს ალტაცებას —  
მას, — რაც ყრმობით განუცდია  
მონარნარე მის აცნებას,—  
თვისგან შექმნილ ჰაეროვანს,  
სპეტაკის თვისტომს ქალ არსებას,  
თვისის სულის გამრაბილს  
თვის საკუთარ სიღიადეს —  
შენ გაწერდა და შეცდომით  
ეს მის სიმთა განგიცხადეს!  
ნამდვილად კი, რა ხარ, ქალ?  
რა განს ჰავარავს შენი გვამი?  
ბოროტებას და დამხობას!  
მუნვე სწვეთავს ნაღვლ-შხამი!  
თვალომაცეობას მჭერმეტყველობს  
გარდასული შენი უამი!

ძ ნ ე ო.  
რა სასტიკად სცდები, ბრძენო!  
მრუდედ ჰქმდავს შენი თვალი!  
აბა, გულში ჩაიხედე,  
ისე მომეც სამართალი!  
მაგრამ კმარა! ნულარ, გჩეუბობათ,  
ნუ ხარ მტრობით მომზირალი!  
ამ მკარდის ჰემ რა რი ღელავს  
ვნება შენთვის დაუმშრალი!  
განა, ბრძენო, არ მოგწონვარ?  
მაშ რილასთვის მიმზერ მწყალი?  
(თავდაჭრით და სიღიადე)  
გამილიმე, ჩემი ურჩო!  
გამილიმე, მოიღარე!  
ამ ცხოვრებას დაეჩქარე,  
თორემ გელის დღეს თუ ხეალე  
შავი კუბო და სამარე!  
შენ შენ და სამარე!



მოდის...

მე აწ შენოვის შუქს მოვაფენ,  
ვით ლავაზარდზე საესე მოვარე,  
თამაშის ღრის ვიძლერ ნაზად  
ვნების ჰიმნისა, ვნების კილის,  
რომ ეგ სული სიამისგან  
ალიესოს და მოილხინოს.  
იმდენ სიტებოს გაგრძნობინებ,  
რაც ჯერ არის გინუცდა.  
დალლილ სულისა განგიახლებ  
და შეგიტროვობ ისე დია,  
რომე ჩემებრ არც ერთ დედას  
სხვა არავინ შეუტრფია!

ისმის მუსიკის ჰიმნი. ძნეო მომხიბვ-  
ლელად თამამობს ბრძნოს ირგვლივ  
უვლის, ულიმის. ცდილობს მოხიბლოს,  
ვნების ღვთავებას შემოეხვევა)

ვნების ღმერთო, რა ვილონო,  
რომ ეს ურჩი დავიმონო?

კვლავ ცეკვას და ამ ღრის მძიმე-  
მძიმედ თმას იშლის. გახურებულ თამა-  
შის ღრის თითო-თითოდ ტინსაცმელს  
იძრობს. ბოლოს მთლად გაშიშვლდება,  
მხოლოდ წელზე შერჩება ლეჩაქის სა-  
ხურავი. ერთგან შეჩერდება, ხელებს კი-  
სერჩე მოივლებს, თვალებს ალაპყრობს  
და ნაკვებს აათხოთლებს. თან  
ბრძნოს უმზერს, მლერის)

ჩემი თვალი მოუუუნე  
შენ მოგიწვევს სატრფიალოდ;  
ჩემი ტანი აღმოჩრდილა,  
ვითა სხივი, საციალოდ.  
ბრძნო! ეშხი ვადიადე,  
შენოვის ვნება მოგისწრავა!  
მოღი, მოღი და შემიპყარ!  
მოღი, ბაგეს დაწაფე!

რომ იცოდნენ საფლავს მყოფთა,  
ამ სოფლიდგან გარდასულთა,  
რა სიამეს მივაგებდი,  
და ზღვა გრძნობათ დაუსრულთა,—  
დაარღვევდნენ მყუდროებას,  
ერთს წამს მკვდრეთით იღლებოდნენ;  
სიყვარულის დელფინიალსა  
შემიპყრობდნენ, შემიტრფობდნენ.

რომ იცოდნენ ქვეყნის ბრძნოთა,  
რომ იცოდნენ შეცნიერთა,  
ჩემი რა განძ მიიღებდნენ,  
რა სიამეთ მრავალფერთა,—  
დელფინ მკერდზე მიმიკრავინენ,

### განცხრომილნი შემიტრფობდნენ.

ბრძნო! ჩემგნით განდგომილო,  
შენოვის ვნება მოგისწრაფე  
ბრძნო! მე თვით შენკენ მოვალ—  
აპა, ბაგეს დაწაფე!

(ცეკვით წამოვა და ბრძნოსკენ გა-  
დაიხრება)

### ბრძნო.

განვედ მაცდურო!  
ძნეო. (სახტად დარჩენილი და ამრეზილი  
როგორ? ეს რა ჰემენ?  
მე გტრფობდე, შენ მომიცილო?

### ბრძნო.

დედაკაცო! დედაკაცო!

### ძნეო.

მე ვარ ქალთა დედოფალი!

### ბრძნო.

ღიაძე ხარ!

### ძნეო. როგორ?

### ბრძნო. სწორედ!

მუდამ შმაგი, ვნებით მთვრალი  
რომელს ღიდად ეხერხება  
კოხტად ცეპა და სრიალი.  
ტანთ მოკაზმვა მოსახიბლად,  
უფრო მეტად ჯაღოსნობა;  
შენ ეგ ნიჭი მარად გახლდეს,  
მან ჰყოს ნათელ ქალოსნობა;

სიკელუცე ამეტყველო,  
გაკლდეს აზრთა გულმისნობა!

### ძნეო.

სიკელუცე თუ მსდევს თანა,  
მაშ სხვა გვარად რაღად მღერი?  
მამაკაცებს ხომ ეს გიყვართ,  
გული მით გაქვთ ანაძერი!  
ვით თქვენ მოგწონთ, ისე ვცდილობთ  
ვიყოთ მარად მშვენიერი.  
რად არ გინდა მაშ შემიტრფო,  
ჩემთან იქმნე ბედნიერი?

(სახეს იცვლის. ლმობიერსა და უმან-  
კო გამომეტყველებას მიიღებს, თითქოს  
განხორციელებული სათნოება იყოს. ტი-  
რილით ტახტზე დაწვება).

ლმერთო, ჩემზე უბედური  
ქვეყნიდ არვინ გაჩენილა.  
არ მაქეს ბედი სიყვარულში,  
არა მნათობს ჩემთვის დილა.  
ჩემთვის ჩემი შესაფერი  
ჯერ ვაეკაცი არ იღზრდილა,  
რომ მოელო ჩემზე ზრუნვა  
ყოფნა მწარე განხეილა.

იგი ჩემდა სავალალოდ  
გლახ აღმოჩნდა ჩემი ტოლი.  
მე კი ბატონს დაგეძებდი,  
ვყოფილიყავ მისი ცოლი.  
სწორედ ისეთს, ვით შენა ხარ,  
ნებისყოფით სულზე მსრბოლი,  
მაგრამ დავტჩი უსადგუროდ,  
მარტონბით ანატრეოლი.

ვერა ვპოვე ის ადგილი,  
რომე თავი შემეფარა;  
შენ არ იცი ამის გამო  
ტანგვამ თუ ვით გამამწარა!  
და მაგ შენმა უარყოფამ  
ხომ მთლად გული დამიღარა.  
ბრძნო! მომეც შენი ხელი,  
შემიბრალე დაცემული!

მიბრძანე და ამამალლე,  
რომ მოვითქვა აწ მეც სული.  
მსურს ცხოვრება ღლეის შემდევ  
ვიწყო წმინდა, უკოდველი;  
სიბილწიდან ამომიცია,  
ბრძნო, ბრძნო მომეც ხელი!

ნეტამც ბედერულს მომხედავდე,  
არა მყოფდე უგულებელს!  
ნეტამც სხივით აღანთებდე  
ჩემს სულს ღლემდე აუნთებელს.  
ო, რომ ჩემსა ვედრებასა  
შეისმენდე, დარჩებოდე;  
ო, რომ ბედერულს მოწყალებით  
გულის ყურსა მომაპყრობდე—  
მისხვდებოდი ჩემს ვაებას,  
თვით იგრძნობდი იმ ჩემს წყლულსა,  
მე უმწეს გზას მომცემდი,  
ვით კავეს ბნელში დაკარგულსა.  
გადმომხედე, გადმომხედე!  
ნუ იქნები ჩემთვის ცივი!  
ჩემს სულს ღამზრალს ენატრება  
გულის სითბო და მზის სხივი!

ნუ მკრავ ხელსა, ნუ მიცილებ,  
ნუ იძიებ თვით შენ შურსა,  
დარჩი ჩემთან და სიკეთე  
მიძღვენ ყოვლად უბედურსა!  
ოლონდ ერთი მეამბორე  
და თვით მივცემ ჩემს თავს წყლულსა.  
არად მიჩნდეს თვით სიკედილი  
შენი ბაგით კურთხეულსა.

(ბრძნოს მუხლებზე ეხვევა. ემუდარე-  
ბა. როგორც გველი, ისე იხლაკენება).

ჩემთან დარჩი! მე ვიქნები

შენი მონა და ერთგული.

შენს ბრძანებას აგასრულება,

შენც მომიძღვენ სიხარული.

ბრძნო. (გულმობრუნებული უმზერს)

ნეტამც სულითაც ეგრიგად ქეპლუცი იყო,  
მაშინ რომელი არსი გმობას გაგიბედავდა?

### ძნეო.

ჩემს ნაკლსა, ჩემო, შენ შეავსებ და  
გულს მიიძღვნი,

რომელი გულიც შენ გელოდა შენოვის  
ლელავდა!

ბრძნო. ჩემთვის?

### ძნეო.

გიცნობდი! თუმც არ ვიყავ შენი მნახელი  
გის არ გააცნობს შენს თავს, მითხარ,

შენი სახელი

შენთან შეხვედრას მარად ვნატრობდი  
რათა მოეძღვნა ნარნარი ტრობა

და ჩამექსონა შენის აზრისთვის

ამ ნორჩი გულის ნორჩივი გრძნობა.

რომ წარმოგვშვა მომავალთათვის

შენზე სრულმყოფი შენი ხატება.

შენ რომ წახვიდე ამა სოფლიდან

სხვა ღირსეული ვილა დაწებება?

### ძნეო.

ჩემი ხარ, ბრძნო!

და რომ არც იყო, ეს არ იქმნება!

აბა, გამომყე! — რალის აყვენება! —

მომეც ეგ ხელი! მომეც ეგ ხელი!

ჰერძნობ? დელოფალი გახლოვდება..

რომ გეამბოროს და მოგცეს შვება!

(ძნეო სამბორებლად მიუახლოვდება.

ბრძნო მოხიბლული სდგას).

შენ მომექაბლე!

ბრძნო. (დიდხანს უმზერიან ერთმანეთს.

თანდათან მის კულისთვების ჰერძნება)

ვუიცავ, შენ იპყრობ ჩემს მშრალ გონებას!

ძნეო. გამომისახლება!

ბრძნო. ერთი ამონი მაგრენა...

როგორ? ეს ჩემი ძმები?

და უცავ შემომხედება! კვლავ გამილომე...

როგორ ამონი მაგრენა... თუ კი მოილენს ეს სული მძიმე...

და ამავე ღრის მისცემ ამ სოფელს

(ბაგეს მივუახლოვდება)

შორს მომაგლისთვის სხვა მოციქულსა...

თუ — (უცად გონს მოდის) მაგრამ —

როგორ? ეს ჩემი ძმები?

დაუცავი სისხლსა აქ დაქცეულსა?

ეგ შენი ბაგე ძმის სისხლს მაგონებს

ძნეო. (ეხვევა)

ი, ჩემი ბრძნო, ეგ ნუ გალონებს!

ნუ გაიხსენებ რაც ერთხელ მოხა!

მაგ ფიქრთა საზროდო მე გავადე ურთი...

ა, მიზირებ, ი, ღრმად ჩამზედ

სულში როგორი მეფობს აწ ღმერთი.

ბრძნო. (ხელს მოჰკიდებს. თვალებში

აცერდება. სისრაფით)

შენი თვალები... შენი თვალები

სხვას აშეარგებს, სულ სხვას მიჩვენებს;

ბოროტი სული მასში მეტველობს,

და შავად ღელავს, ვეღარ ისვენებს!

(ხელის კვრით იშორებს)

(ფეხებ ქვეშ ჩაუვარდება. სტირის ეკვეთება, დაიფრქვევა!  
ბრძენ ხელს ჰქონდება, მნე გულმოკლუ-  
ლი ვნების ღვთაებას დაუჩინებს).

ო, რა შეგურდე, ვნების ღვთაება? შენ არარამ რა გზით შესძლო  
განა შენს ტალღებს გზას არ გაძლევდი?  
განა შენი კერპი უნდა დაიმსხრას!  
განა შენი კერპი უნდა დაიმსხრას!  
განა შენი კერპი უნდა დაიმსხრას!

განა შენი კერპი უნდა დაიმსხრას!  
განა შენი კერპი უნდა დაიმსხრას!

(კვერთს დაჭრავს ვნების ღვთაებას  
და ამსხრევს)

შენ. (შეპეივლებს და ტატჩე დაემხობა)  
ო, ნუ იქმნები ეგრე სასტიკი!

ბრძენ.

ვნების ღვთაება ამ სოფელსა არ ეჭირვება  
ადამიანი საკმარისად ვნებიან!

შენ. (სასომიხდილი მუდარით. კვლავ  
ფეხქვეშ ჩაუვარდება)

ბრძენ, რავდენ ხარ შენ მტკიცე,  
იმდენ—ჩემთვის საყვარელი!

მე ვმორჩილობ შენსა ძალის,  
იყავ ჩემი მმდრანებელი.

შენი მონა თუნდ დამსაჯე,  
შენდა ესდენ შემცოდველი,

თუნდ სულგრძელმა მაპატივე,  
და კვლავ მექმენ ტკბილ მხმობელი,

შაინც შენთა ფერთ წინაშე  
მსურს დავემთხ ცრემლის მღვრელი!

ბრძენ. (გველივით ეხვევა)

ამათა, ამათა

ეგ ცდა შენი, თვალომაქცობა.

ვერ მომხიბლავს, ვერც რას მავნებს  
ალერსი, თუ შენი მტრობა!

რას დაკლებს სალს კლდეს ტალლა?

შენ არარამ რა გზით შესძლო  
მრავლად განცდილს სულზე ძლევა?

შენ.

წელან ხანჯალს არ შეუკრთი,  
მაშ ვით უკრთი ამბორს ცხელსა?

რად არ გინდა რომ იყოფდე  
ჩემთან ერთად სარეცელსა!

ბრძენ.

ამ ჩემს სულში არ არსებობს  
ის ადგილი ცარიელი,

საღ ჰპოებდე შენთვის ბინას,

შემდეგ მექმნე დამღუპველი!

(ხელს ჰქონდეს. ქალი გაბოროტებული  
ხელზე გველივით იხლაქნება და ქვითი-  
ნებს ბრძენ იღებს მოკვეთილ თავს და  
გმიროს გვამს და გადის ტირილით:  
„მძებო, თქვენს მამულს ვეღარ იხი-  
ლავთო!“

შენ. (წამოვარდება)

მაშ დასტოვა ჩემი ბინა?

მაშ დასტოვა ჩემი კარი?

ვაი, ესდენ დამცირებული!

ვაი მიწა მე სამარი!

(სარქმელიდან გიდასძახებს)

შენ წახველ მაგრამ — —

დღესაც, ხვალეც, შემდეგშიაც


საუკუნოდ, სამუდამოდ

კვლავ წამოვლენ, კვლავ ვიმსხვერბლებ  
ჩემთვის ტანჯვა უჩნდეთ ამოდ!

დასასრული.

ბერლინი 1912 წ.

## სოციალისტი და გურულა



— საიდან მოდის ეს მღვრიე „ზეირთი“?  
აი, სათავე!

## თეორი სიზმარი

საქართველოით ვინ არ დამწვარა,  
ან ვინ არ სტირის საქართველოზე,  
უძილო ღამემ ცრემლით დაჭლვარა  
წარსულ დიღების დალვრემილი მზე.

ბევრი ვიტირეთ... ბევრი ვატირეთ  
გარდავაქმენით სისხლის მდინარეთ,  
ცრემლებითა ვრწყავთ სამშობლოს ჭალებს,  
სულს ჩევნები ვაცმევთ მწუხრისა ძაძებს.

დღესაც საქუთარს მიგსდევთ ჩენ კუბოს  
სასაფლაოს გზა რად არ ილევა!..  
სივრცე არ არი რომ დაიგუბოს—  
სასო მიხლილი მუქარა, წყევა!..

თეორი აჩრდილი მისდევს ჩენ კორტეს  
თეორი აჩრდილი — თეორი მაღონის,  
გზა არ ილევა... თუმც მეწამულ მზეს  
აპა, საცაა ზღვა დაიწონის.

მივდივართ ასე შორეულ გზაზე  
ვარსკვლავნიც ჩენთან გლოვობენ ცაზე,  
სტირის ზარნაშო... ჰქივის აფთარი,  
შავი ნაღველის გვცემს შავი ქარი.

მაღონა სატრფო გკოცნი დალალებს  
ჯვარ-ცმული ერის მაღონა დედა.  
სად დავისკვნებთ, სად დავაწყობთ ძვლებს  
გემუდარებით — გვითხარი დედა!...

ტ. ტაბიძე.

## მინიატურები

VII

### ზ ღ ვ ა ს თ ა ნ.

როს შენ მელოდი, ზღვას კვარცხლ-  
ბეკით გადავყურებდი.

სულ ვერ შევნიშნე, დალლილ სულით  
იქ როგორ გაეჩნდი, სზღრის იცნებაშ  
ვერცხლის თრთვილი ააშრო წამწამებს,  
იქ, - იმ კერცხლ-ბეკზე უხმო ელვის  
ისრით გამტყორცნა. ზღვა ლოცვად  
მდგარი კაშნის ჰანგარად ჰვალობ-  
და-და ლაუვარდ გამმით მოუხმობდა  
ზღვის დელოფალსა...

როს შენ მელოდი, ზღვას კვარცხლ-  
ბეკით გადავყურებდი.

არ დააყონა, გაჩნდა იგიც ტურფა  
ასული. ცის წმიდა უამმა, სასწაულთა  
მშვენიერებამ მარადისობის წიაღილან  
თეორ ქაფითა ჰქია: ქანდაკი იყო უკვდავე-  
ბისძ გრძელეულების, მარჯნის ძოწითა შეე-  
მონა ნაზი ტუჩები, ზღვის ვარსკვლავთ  
შავი იაგუნდი წვეკილად შვენოდა, მრავალ  
ფეროვან კრისტალთ თრთოლვით ლო-  
კოკინები გიშრის ნაშნავებს მზეს გვირ-  
გვინის თვლებად ჰშევნოდა, ბროლის  
თითებით აქლერებდა მკვნესარე ჰანგსა  
და თეორ ზამბაზის ხელთ უქნარი ნარ-  
ნარი თასით ჰსვამდა ღიმილის უკვდა-  
ვებას — ცისკრის ნექტარსა.

როს შენ მელოდი, ზღვას კვარცხლ-  
ბეკით გადავყურებდი.

ზღვამ გაიხარა, ვით უმანქო ბაგვი-  
სა ეშმა, მეც ვიგრძენ ჩემში ღვთაებ-  
რივი წმინდა გარდაქმნა, ყოველისფერი  
სასოების სუნთქვად მეჩვენა, აღომა-

თა — აღომად, გაზაფხულის ყვავილი  
მშვენებად, მაისის დღის ქალწულებამ  
შუქი მოჰვინია და მთრთოლავ ბაგით,  
მუხლ-მოყრილი, გულ-ხელ-დაკრებით  
ზღვის წმიდა ლოცვას ჩემს ლოცვასა  
შევურთებდი.

როს შენ გელოდი, ზღვას კვარცხლ-  
ბეკით გადავყურებდი.

ვიგრძენი შვება ნეტარების, ოცნების  
ფურჩენა: ის ხომ შენ იყავ, შენ, უბი-  
წო სულის დაიავ, შენ გამწყდომოდა  
მოთმინების მთრთოლვარე ხაფი, ზღვასთან  
მეხელ მწუხრ ღუმილის ხეიგნითა, უბ-  
მოდ მიძახდი „მიყერხარხო“, უბმოდ  
მიწვევდი და მგოდებელ სულს, მხურვალე  
გულს — ვით ბარშვის ლოცვას, ჰმოსაგდი-  
წმიდა მისტერიის ბედნიერებით, რომ  
სულით სულზე გადაჭდობით ერთად  
გვეხილნა სიკვდილსა და სიტკბოების  
მზე — საიდან მიძახდი „მიყერხარხო“.

როს შენ ბელოდი, ზღვას კვარცხლ-  
ბეკით გადავყურებდი.

მაგრამ შეჭედეთ ამ თვალბედით  
ცვალებაზობას! დაძეროლა უცბად ზვირ-  
თა კვნესის მაცდურ ზეფირმა, წუთით  
ნაშობი წუთის უქან ურთებზე ზეგისვა-  
და, ვითა ჩიდილი გატყორცნილი მზის  
დაბნელებით, ლამის ღუმილსა ჩაგაქსოვა  
მჭენარ გულის ფერქვად, მარტოდ დამ-  
ტოვა ისევ ობლად, ზღვის ანაბარად,  
მჭმუნვარე სულის ზავ ფურცლიან კა-  
შნის ვარდით...

როს შენ მელოდი, ზღვას კვარცხლ-  
ბეკით გადავყურებდი...

Candide.